# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 75

"29" მარტი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა № 33-ში (საკადასტრო კოდი: № 01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №№ 33-ში (საკადასტრო კოდი: №№ 01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.222.276 განკარგულების დანართი № 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი № 1

| ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა №33 (ს/კ № 01.19.24.007.270) | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახელი და გვარი | პირადი № | დაკავებული ფართის სართული | ფაქტობრივად დაკავებული ფართი | საკადასტრო კოდი |
| სულხანი გულიაშვილი | 38001002231 | 2 | 73.68 კვ.მ | 01.19.24.007.270.01.501 |
| დურმიშხანი კერესელიძე | 35001027227 | 1 | 93.42 კვ.მ | 01.19.24.007.270.01.504 |
| ლია ენუქიძე | 33001059749 | 1 | 29.12 კვ.მ | 01.19.24.007.270.01.503 |
| ნელი ხელაშვილი | 45001031161 | 1 | 35.36 კვ.მ | 01.19.24.007.270.01.502 |
| არჩილ ჩაკვეტაძე | 49001003567 | 2 | 60.09 კვ.მ | 01.19.24.007.270.01.500 |